ქალაქ თბილისის მერია

განკარგულება № 1183

"12" ივნისი 2013 წ.

იბა „დიდუბე 23-ის" თავმჯდომარის მოქ. ომარ აბულაძის ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილების თაობაზე

ქ. თბილისის მერიაში იბა „დიდუბე 23-ის" თავმჯდომარემ ომარ აბულაძემ 2013 წლის 23 აპრილს შემოიტანა (რეგ. №12/45873-7) ადმინისტრაციული საჩივარი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 აპრილის №12/168-16 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თაობაზე.

ადმინისტრაციული საჩივრის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 181-ე მუხლთან შესაბამისობის შემოწმების შემდეგ, ადმინისტრაციულმა ორგანომ განიხილა ადმინისტრაციული საჩივარი.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 96-ე და 194-ე მუხლების შესაბამისად, წარმოდგენილ საჩივარზე გარემოებათა გამოკვლევისა და დაინტერესებულ მხარეთა მიერ მოსაზრებების წარმოდგენის მიზნით, საკითხთან დაკავშირებით 2013 წლის 2 და 8 მაისს გამართულ ზეპირ მოსმენებზე გამოცხადდნენ: ომარ აბულაძის წარმომადგენელი მოქ. გრიგოლ გრიგალაშვილი, მოწინააღმდეგე მხარე - ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი – ივანე ყანდაშვილი.

საქმის ზეპირ განხილვაზე საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა მხარი დაუჭირა ადმინისტრაციულ საჩივარს და ითხოვა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 აპრილის №12/168-16 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

მხარემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის №ბ-12/111404-16 ბრძანებით, იბა „დიდუბე 23-ს" უარი ეთქვა ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

მისივე განმარტებით, იბა „დიდუბე 23-ის" თავმჯდომარემ ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, 2013 წლის 14 მარტს №12/168-16 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 102-ე მუხლის საფუძველზე, რათა სამსახურს კვლავ განეხილა იბა „დიდუბე 23-ის" განცხადება მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე და განცხადებას თანდაურთო ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ მოთხოვნილი ექსპერტიზის დასკვნა შენობის კონსტრუქციული ნაწილის ტექნიკური მდგრადობის თაობაზე, რაც სამსახურმა კვლავ უარი უთხრა იბა „დიდუბე 23-ს" განცხადების განხილვაზე, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა „საქართველოს ზოგადი ადმნისტრაციული კოდექსის" 102-ე

ქ. თბილისი 0160, ქ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 23 78 189, ფაქსი: (+995 32) 23 78 154

მუხლით გათვალისწინებული ახლადაღმოჩენილი ან ახლადგამოვლენილი გარემოებანი.

მხარემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა არ გაითვალისწინა მათ მიერ წარდგენილი შპს „მონოლითის“ მიერ მომზადებული საექსპერტო დასკვნა და სადავოდ გამხდარ აქტში მიუთითა მხოლოდ სსიპ - „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნის ნაწილი, რომელიც ასევე მათ მიერ იქნა წარდგენილი.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ობიექტის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომ ექსპლუატაციაში მიღების მიზნით დაადასტურა ქ. თბილისის მერიის სსიპ- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა 2013 წლის 22 იანვრის №513785 გადაწყვეტილებით, რაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ კვლავ არ იქნა გათვალისწინებული.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი არ დაეთანხმა წარმოდგენილ ადმინისტრაციულ საჩივარს და აღნიშნა, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამსახურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ 2012 წლის 11 სექტემბრის №ბ-12/111404-16 ბრძანებაში მითითებული იქნა რიგი სამშენებლო სამართალდარღვევები, რაც საფუძველი გახდა იბა „დიდუბე 23-ის“-ათვის მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის.

წარმომადგენელმა ასევე განმარტა, რომ ბრძანებაში ასევე მითითებული იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა, რაც ითვალისწინებს „ნაგებობების ცალკეული კონსტრუქციული ელემენტების, მასალების, ნაკეთობების, აგრეთვე საინჟინრო სისტემების შეცვლა, რაც იწვევს (ნაგებობების გაბარიტების ცვლილების მიუხედავად) საანგარიშო დატვირთვების ან/და კონსტრუქციული გადაწყვეტის შეცვლას“.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ასევა აღნიშნა, რომ ვინაიდან იბა „დიდუბე 23-მა“ დაარღვია ზემოაღნიშნული დადგენილების 62-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტი, მხარემ ამავე დადგენილების 62-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე ასეთი ტიპის დარღვევის დასადასტურებლად მშენებლობის გამცემ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა წარუდგინოს სათანადო საექსპერტო დასკვნა ცვლილებების განხორციელების მიზნით, რომელიც მშენებლობის ნებართვის განუყოფელი ნაწილია.

წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვინაიდან იბა „დიდუბე 23-ის“ მიერ ადგილი აქვს „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევას, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებისათვის სადავო აქტით მოითხოვა საექსპერტო დასკვნა, რადგან საექსპერტო დასკვნა განიხილება, როგორც სანებართვო პირობა და მისი შესრულების დადასტურება სწორედ საექსპერტო დასკვნით არის შესაძლებელი.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ იბა „დიდუბე 23-ის“ მიერ წარმოდგენილი იქნა საექსპერტო დასკვნები, რომელშიც სამსახურის შეფასებით არ იქნა მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს

მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 62-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ პირობების შესრულება დადასტურებული, რაც ვერ იქნებოდა განხილული ახალაღმოჩენილ ან ახლად გამოვლენილ გარემოებად.

არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, წარმოდგენილი საქმის მასალების „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მოთხოვნათა შესაბამისად, გამოკვლევის შემდეგ ადმინისტრაციული ორგანო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იბა „დიდუბე 23-ის“ თავმჯდომარის მოქ. ომარ აბულაძის ადმინისტრაციული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

წარმოდგენილი ადმინისტრაციული საჩივრით დგინდება, რომ ქ. თბილისის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის №ბ-12/111404-16 ბრძანებით, იბა „დიდუბე 23-ს” უარი ეთქვა ქ. თბილისში, სექტორი –დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე.

საჩივრის ავტორმა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, 2013 წლის 14 მარტს №12/168-16 განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 102-ე მუხლის საფუძველზე, რათა სამსახურს კვლავ განეხილა იბა „დიდუბე 23-ის” განცხადება მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების თაობაზე. როგორც ადმინისტრაციული საჩივრიდან და სადავოდ გამხდარი აქტიდან იკვეთება, ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა იბა „დიდუბე 23-ს” მოსთხოვა წარედგინა ექსპერტიზის დასკვნა შენობის კონსტრუქციული ნაწილის ტექნიკური მდგრადობის თოაბაზე, რომელიც მხარემ 2013 წლის 14 მარტის №12/168-16 განცხადებას თანდაურთო, შპს „მონოლითის” და სსიპ- „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს” დასკვნები.

ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურმა სადავოდ გამხდარი აქტით უარი უთხრა იბა „დიდუბე 23-ს” განცხადების განხილვაზე, იმ მოტივით, რომ არ არსებობდა „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 102-ე მუხლით გათვალისწინებული ახლადაღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი.

საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრის №513785 გადაწყვეტილებით დგინდება, რომ სამსახურმა დაადასტურა ქ. თბილისში, დიდუბის ქ. №23-ში მშენებლობადამთავრებული ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის №ბ/12/111404-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 97-ე მუხლის მე-6 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის თანახმად „შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია: სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა”.

წარმოდგენილი საქმის მასალებით კი დგინდება, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით მოთხოვნილი აქვს საექსპერტო დასკვნა

ობიექტის ექსპლუატაციაში მიღების მიზნით, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ადმინისტრაციული ორგანო განმარტავს, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 95-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „განხორციელებული მშენებლობის ექსპლუატაციაში მიღება ნიშნავს დასრულებული მშენებლობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენას“. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, „შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღება შესაძლებელია, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად შესრულდა და არ არის დარღვეული სანებართვო პირობებით განსაზღვრული ვალდებულებები“.

აღნიშნული დადგენილების 97-ე მუხლის მე-7 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, „შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის საფუძველია სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა“ და 95-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ქ. თბილისში შენობა-ნაგებობის (გარდა V კლასის შენობა-ნაგებობებისა) ექსპლუატაციაში მიღება აგრეთვე შესაძლებელია, თუ სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ დამკვეთს უფლებამოსილი ორგანოს მიერ უარი ეთქვა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებაზე, თუმცა ნებართვის გამცემი ორგანო წერილობით დაადასტურებს განხორციელებული მშენებლობის შესაძლებლობას“.

ამავე დადგენილების 96-ე მუხლის მე-3 პუქნტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე „ამ დადგენილების 95-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დამკვეთმა დამატებით უნდა წარადგინოს სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის დასაშვებობის დადასტურებაზე ნებართვის გამცემი ორგანოს წერილობითი დასტური და სანებართვო პირობის დარღვევის გამო დაკისრებული ჯარიმის (გარდა მე-2 კლასის ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლებისა) გადახდის ქვითარი.“

საქმის განმხილველი ორგანო უდავო მტკიცებულებად მიიჩნევს, რომ ი.ბ.ა. „დიდუბე 23-ის“ მიერ წარდგენილი იქნა ქ. თბილისის მერიის სსიპ- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრით დათარიღებული №513785 გადაწყვეტილება სამშენებლო დარღვევის დადასტურების თაობაზე და შესაბამისი ჯარიმის გადახდის ქვითარი, რაც ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის სამსახურმა არ გაითვალისწინა.

აღნიშნული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის პირველ პუნქტში სამსახურის მიერ დადასტურებული იქნა ქ. თბილისში, სექტორი დიდუბე, დიდუბის ქ. №23-ში, მშენებლობადამთავრებული ობიექტის (მრავალფუნქციური შენობა (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი)) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2012 წლის 11 სექტემბრის №ბ-12/111404-16 ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებლობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.

ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრის №513785 გადაწყვეტილებისა და მოქმედი სამართლებრივი ნორმების ანალიზიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ სამსახურმა დაადასტურა სამშენებლო ობიექტზე ჩადენილი ყველა არქიტექტურურულ-სამშენებლო დარღვევები გარდა ერთისა, კერძოდ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 11 ივნისის №018096 ექსპერტიზის დასკვნის ნაწილში.

საქმის განხილველ ადმინისტრაციულ ორგანოს მიაჩნია, რომ იბა „დიდუბე 23“ არ იყო კანონით ვალდებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის წარედგინა საექსპერტო დასკვნები ობიექტის კონსტრუქციული მდგრადობის თაობაზე, რადგან „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 96-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე „შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებისათვის (გარდა ამ დადგენილების 95-ე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა) დაუშვებელია სხვა მოთხოვნების დაწესება, გარდა სანებართვო პირობებით განსაზღვრულისა“.

ამასთან, ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს არ გააჩნია უფლებამოსილება დაადასტუროს რაიმე სახის კონსტრუქციულ საექსპერტო დასკვნაში, მათ შორის სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2012 წლის 11 ივნისის №018096 ექსპერტიზის დასკვნაში მითითებული რაიმე სახის დარღვევის შესაბამისობა ქალაქთმშენებლობით პირობებთან, ვინაიდან საქართველოს მთავრობის №57 დადგენილების მე-VII თავის მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამშენებლო დოკუმენტის კონსტრუქციული ნაწილი ვერ განიხილება როგორც სანებართვო პირობა და მშენებლობის ნებართვის გაცემოს დროს მისი წარმოდგენა მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოში სავალდებულო არ არის.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ იქნა არსებითად შესწავლილი და გამოკვლეული ქ. თბილისის მერიის სსიპ- ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 22 იანვრით დათარიღებული №513785 გადაწყვეტილება სამშენებლო დარღვევის დადასტურების თაობაზე.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-60[1] მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები”.

ადმინისტრაციული ორგანო აღნიშნავს, რომ იბა „დიდუბე 23-ის” მიმართ სადავო აქტის გამოცემისას ადგილი აქვს კანონის მოთხოვნათა ისეთ დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში საკითხთან დაკავშირებით მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი არ არის თავისი გადაწყვეტილება დააფუძნოს იმ გარემოებებზე, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და შესწავლილი ადმინისტრაციული წარმოების დროს.

საჩივრის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს რომ ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ არ იქნა საფუძვლიანად შესწავლილი საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება, რომლის შესწავლის შემთხვევაში მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

ადმინისტრაციული ორგანო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 აპრილის №12/168-16 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას, ასევე სამსახურის მიერ არ არის შესწავლილი და გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და შესაბამისად იგი ბათილად უნდა იქნას ცნობილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” I, IV, VI, XIII თავების, მე-2 მუხლის პირველი

ნაწილის "დ" ქვეპუნქტის, 60[1] მუხლის, 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ" ქვეპუნქტის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57-ე დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად და „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის" 22-ე მუხლის მესამე ნაწილის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანო ადგენს:

1. დაკმაყოფილდეს იბა „დიდუბე 23-ის" თავმჯდომარის ომარ აბულაძის 2013 წლის 23 აპრილის (რეგ. №12/45873-7), ადმინისტრაციული საჩივარი.
2. ბათილად იქნეს ცნობილი ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 2013 წლის 4 აპრილის №12/168-16 ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.
3. განკარგულების ასლები გადაეგზავნოთ მხარეებს.
4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), ერთ თვეში.

ქ. თბილისის მერის მოადგილე დავით ალავიძე

ქალაქ თბილისის მერია

2165993
10-16/13338957
16.12.2013

თბილისის მერია / ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური ვასილი
მუჯირიშვილი

ბატონო ვასილ,

თქვენი 2013 წლის 4 დეკემბრის #10-16/13338957 წერილის პასუხად, არის თუ არა ქ. თბილისის მერის მოადგილის 2013 წლის 12 ივნისის #1183 განკარგულება კანონიერ ძალაში შესული, გაცნობებებთ, რომ აქტი საჩივრის ავტორს ჩაბარდა 2013 წლის 18 ივისს, რაც იმას ნიშნავს, რომ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, აქტი შესულია კანონიერ ძალაში.

რაც შეეხება, იმას გასაჩივრებულია თუ არა თბილისის მერის მოადგილის 2013 წლის 12 ივნისის #1183 განკარგულება, განგიმარტავთ, რომ დღეის მდგომარეობით მისი გასაჩივრების თაობაზე სასამართლოდან შეტყობინება არ მიგვიღია.

პატივისცემით,
თბილისის მერია / ქალაქ თბილისის მერიის
იურიდიული საქალაქო სამსახური
ქ. თბილისის მერიის საქალაქო სამსახურის უფროსი მალხაზ კუნელაური

საქართველო, ქ. თბილისი
შ.პ.ს. „მონოლითი“
202242233
თევდორე მღვდლის ქ. №5

GEORGIA, TBILISI
„MONOLITI“ L.T.D.
202242233
5 TEVDORE MGVDELI STR.

№03/13

„14“ მარტი 2013 წ.

მოქალაქე კახა აბულაძეს.

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდუბის ქუჩა №23-ში, შ.პ.ს. ”ალიზი”-ს მიერ 2008 წელს დამუშავდა მრავალსართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი
შენობა გეგმაში ტრაპეციული მოხაზულობისაა, ზომებით ღერძებში Lxb=25.20x19.80მ. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სართულიანობა განსაზღვრული იყო შემდეგნაირად:

ერთი მიწისქვეშა სართული იატაკის ნიშნულით -3.00 მ. ავტოსადგომებისათვის.
ერთი სართული ნიშნულებზე 0.00 მ. ავტოსადგომებისათვის და საოფისე ფართებისათვის.
თორმეტი საცხოვრებელი სართული.

შენობის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სისტემის სახით, სადაც კავშირებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის დიაფრაგმები, სისქით 25 სმ. ჩარჩოს სვეტების განივი კვეთები იცვლება სიმაღლის მიხედვით 50x40 სმ.-იდან 40x40 სმ.-მდე.
სართულშუა გადახურვებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის ფილები. ნიშნულებზე 0.00 ფილის სისქეა 18 სმ. ხოლო დანარჩენ ნიშნულებზე 20 სმ.
რიგელების განივი კვეთები ყველა ნიშნულზე bxh=40x60 სმ.
კიბის მარშები - დახრილი მთლიანკვეთიანი რკინაბეტონის ფილები,
მონოლითური საფეხურებით.
შენობის პერიმეტრზე ჩარჩოებს შორის ნაწილში, რომელიც ივსება წყობით, გამოყენებულია ქაფბეტონის წვრილი საკედლე ბლოკი სისქით 20 სმ. წყობის ხსნარის მარკად მიღებული იქნას M25 მარკის ცემენტ-ქვიშნარის ხსნარი.

შენობის საძირკველი წარმოადგენს მონოლითური რკინაბეტონის წიბოვან ფილას სადაც ფილის სისქე 50 სმ-ია, ხოლო წიბოს ნაშვერი ფილის ზევით 50 სმ. სულ წიბოს განივი კვეთბია bxh=60x100 სმ.

ყველა კონსტრუქციული ელემენტის ბეტონის კლასია B40

საინჟინრო გეოლოგიური დასკვნიდან გამომდინარე საძირკვლის ფუძედ მიღებულია კეჭნარი, ქვიშნარის შემავსებლით.მისი ფიზიკურ მექანიკური მახასიათებელია:

$\rho = 1.9$ ტ/მ^2. $C = 0.01$კგძ/სმ^2. $\gamma = 40$. $E = 400$ კგძ/სმ^2. $R_0=4.5$ კგძ/სმ^2.

მშენებლობის პერიოდში 2011 წელს განხორციელდა პროექტის კორექტირება და დაემატა ერთი სართული, რის შესახებაც ჩვენს მიერ გაიცა ტექნიკური დასკვნა.

ამჟამად შენობა მთლიანად დასრულებულია. მისი გეომეტრიული ზომები შეესაბამება პროექტით მოცემულს. სათანადო შემოწმებებით (შ.პ.ს. "თბილცემენტი"; სსიპ. "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო") დადგინდა, რომ შენობის მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციების ბეტონის სიმტკიცის კლასი შეესაბამება პროექტით მოცემულს B40. შენობა გაანგარიშებულია მაღალი კლასის კომპიუტერული მოდელირების სპეციალისტის ტ.მ.დ. კ.ჩხიკვაძის მიერ და საანგარიშო სქემა პრაქტიკულად სრულად ასახავს პროექტს. გაანგარიშება შესრულებულია ქვეყანაში იმ დროს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების საფუძველზე. კერძოდ:

-ОСНОВАНИЯ ЗДАНИЙ И СООРУЖЕНИЙ. СНиП 2.02.01-83.

-НАГРУЗКИ И ВОЗДЕЙСТВИЯ. СНиП 2.01.07-85*

-БЕТОННЫЕ И ЖЕЛЕЗОБЕТОННЫЕ КОНСТРУКЦИИ. СНиП 2.03.01-84

გაანგარიშებით დასტურდება, რომ საცხოვრებელი კორპუსისადმი წაყენებული მოთხოვნები მთლიანად კმაყოფილდება. რაც შეეხება უშუალოდ შენობას, ადგილზე მისი შესრულების ხარისხი მაღალია.

დამატებით გაცნობებთ, რომ მოქალაქე კ.აბულაძემ წარმოადგინა სსიპ. "ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო"-ს მიერ გაცემული ექსპერტიზის დასკვნა, სადაც გარკვეული შენიშვნებია მითითებული პროექტის შესახებ. კერძოდ შენიშვნები მოყვანილია სამშენებლო ნორმების და წესების _ ,,სეისმომედეგი მშენებლობა" (პნ 01.01-09). მუხლი 9. პ.3; მუხლი 10. პ.8; 11. მუხლი 10. პ7ბ.

გაცნობებთ, აღნიშნული ნორმები ძალაში შევიდა 2010 წელის პირველი იანვრიდან ამდენად პროექტანტები ამ ნორმებს ვერ გაითვალისწინებდნენ. მიუხედავად ამისა, მუხლი 9. პ.3-ს

მოთხოვნები სრულად არის პროექტში გათვალისწინებული, ვინაიდან ანალოგიური მოთხოვნა არის
СТРОИТЕЛЬСТВО В СЕЙСМИЧЕСКИХ РАЙОНАХ. СНиП II-7-81*-ში პ.3.54.
მუხლი 10 პ.8 საერთოდ არ ეხება დამუშავებულ პროექტს.
მუხლი 10 პ.11 როგორც ზემოთ ითქვა მიღებულია ახალი ნორმებით, და 2008 წელს ძალაში არ იყო.
მუხლი 10. პ7ბ. აგარიშით კმაყოფილდება.

დასკვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია ითქვას, რომ ქ.თბილისში, დიდუბის რაიონში, დიდუბის ქუჩა №23-ში აგებული მრავალსართულიანი, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი იმყოფება კარგ ტექნიკურ მდგომარეობაში და შენობის ექსპლოატაცია მასზე სტატიკური და სეისმური ზემოქმედების თვალსაზრისით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ეჭვს არ იწვევს.

შ.პ.ს. ”მონოლითი”-ს
დირექტორი. /გ. იაშვილი/

მთავარი ინჟინერი. /მ. საველიძე/

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5000743913 201 წ
07.03.2013

5000743913

მოქალაქე კახაბერ აბულაძეს

(თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56)

ბატონო კახაბერ, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი 2013 წლის 7 თებერვლის მომართვის (ბიუროს რეგისტრაციის N1000525913) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N000762413 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა - 05 ფურცელი
ტექნიკური დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

გიორგი ხიზანიშვილი
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145

000762413

ექსპერტის დასკვნა № 000762413

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

მისამართი: თბილისი ნ.ცხვედაძის ქ. N 56

სახელი და გვარი: კახაბერ აბულაძე

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

გაიკ აბრამიანი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 36 წლის სტაჟით

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ დაგვიდგინოთ ქ. თბილისში დიდუბის ქ. №23 აშენებული შენობა ვარგისიანია თუ არა ექსპლუატაციისთვის (ტექნიკური მდგომარეობა).

შემოსვლის თარიღი: 07.02.2013წ   გასვლის თარიღი: 06.03.2013წ

დასკვნა

ვიზუალური დათვალიერებით ქ. თბილისში, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე 14-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის ვარგისიანობა ექსპლუატაციისთვის არ იწვევს ეჭვს. თუმცა აშენებულ შენობასა და საანგარიშო სქემას შორის არსებული გარკვეული შეუსაბამობები და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტები არ გვაძლევს შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად დადებითად შევაფასოთ აღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

გაიკ აბრამიანი

გამოკვლევა

ჩვენს მიერ განხორციელდა ვიზუალური გამოკვლევა ქ. თბილისში, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე 14-სართულიანი მრავალფუნქციური კორპუსის, რომლის მშენებლობა დასრულებულია 2011 წელს. დღეისთვის, შენობის საცხოვრებელი ფართის თითქმის 80% ათვისებულია და დასრულებულია სარემონტო სამუშაოები.

ჩვენს წინაშე დაყენებული ძირითადი ამოცანაა შევაფასოთ ახლად აშენებული შენობის ტექნიკური მდგომარეობა და მისი ვარგისიანობა ექსპლუატაციისათვის.

ვინაიდან, აღნიშნულ კორპუსთან დაკავშირებით სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიერ წარსულში (2011-2012 წლებში) არაერთხელ ჩატარდა კონკრეტული კვლევები და გაცემული იყო სათანადო დასკვნები (№ 13740-2011/03; №015353-2012/03/2-03/3 და №018096-2012/03/2), საჭიროდ ჩავთვალეთ მოგვეთხოვა დამატებითი

3598

ეს დოკუმენტაცია, რაც მოგვაწოდა დამკვეთმა ბ-მა კ. აბულაძემ.

წარმოდგენილი მასალები შეიცავს აღნიშნული შენობის პროექტის ძირითად ნაწილებს, დამუშავებული შ.პ.ს."ალიზი"-ს მიერ , მათ შორის კონსტრუქციული ნაწილი კორექტირებულ ვარიანტში და აგრეთვე შენობის გაანგარიშების ელექტრონული ვერსია შესრულებული კომპლექსური პროგრამით „ლირა 9.6" მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის კორექტირება შესრულდა შენობის მშენებლობის პერიოდში, რომელსაც საფუძვლად უდევს ექსპერტიზის დასკვნა (შ.პ.ს."მონოლითი"-ს №01/02 დასკვნა ქ.თბილისში, დიდუბე - ჩუღურეთის რაიონში, დიდუბის ჩიხი №23-ში მშენებარე მრავალსართულიანი შენობის კონსტრუქციული ნაწილისათვის მასზე ერთი სართულის დაშენების გათვალისწინებით. გ.იაშვილი, მ.საველიძე, 17თებერვალი, 2011წ.). კორექტირებულ პროექტში გათვალისწინებულია მე-14 სართულის დაშენება.

ზემოთაღნიშნულ მასალებთან ერთად წარმოდგენილი იყო შპს „თბილცემენტი"-ს მიერ აღნიშნული ობიექტისთვის მომზადებული, კონსტრუქციულ ელემენტებში გამოყენებული ბეტონის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები (№ ლ-114, 25.01.2012წ.). წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ შენობის მშენებლობაზე გამოყენებული ბეტონის კლასი ძირითადად შეესაბამება პროექტით გათვალისწინებულს (B40).

წარმოდგენილი მასალების თანახმად, შენობის ძირითადი მზიდი კონსტრუქციები მოწყობილია მონოლითურ რკინაბეტონში მარჩო-კავშირიანი სქემით. გეგმაში შენობა რთული მოხაზულობისაა, მაქსიმალური პარამეტრებით 26.8x31.5მ

ვერტიკალურად შენობაში გათვალისწინებულია:

ერთი მიწისქვეშა ავტოფარეხი -3.05 (406.96) ნიშნულზე.

პირველი სამი სართული +10.8 ნიშნულამდე (სართულების სიმაღლით: პირველისა- 4.2მ და ორი დანარჩენი-3.3მ) საოფისე და კომერციული ფართებისთვის.

დანარჩენი 11 სართული (h=3.2მ) გათვალისწინებულია საცხოვრებელი ბინებისთვის.

შენობის საძირკველს წარმოადგენს რკინაბეტონის წიბოვანი ფილა სისქით 50 სმ წიბოებით ზევით.

პროექტის მიხედვით ფუძის ქვედა ფენა შეცვლილია დატკეპნილი ბალასტით და გასწორებულია 10 სმ მჭლე ბეტონით კლასით B 7.5.

სვეტების კვეთების ზომებია 40x50 და 40x40 სმ, პილონები გეგმაში რთული მოხაზულობისაა, მაქსიმალური ზომებით 40x70სმ, სართულშუა გადახურვების სისქე 20სმ.

შენობის კონსტრუქციულ სქემაში სვეტებს შორის გათვალისწინებულია შვიდი სიხისტის დიაფრაგმა სისქით 25სმ. აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ მონოლითური დიაფრაგმები ამოყვანილია ბოლოს წინა სართულამდე და ზოგიერთში გათვალისწინებულია ფანჯრებისა და კარების ღიობები. თვითმზიდი კედლები ამოყვანილია კერამიკული (აგურის) ბლოკების (300x200x140მმ) წყობით ქვიშა-ცემენტის ხსნარზე, ხოლო ტიხრები - მსუბუქი ბლოკით.

ვიზუალური გამოკვლევისას ჩვენს მიერ ვერ იქნა დაფიქსირებული მზიდი კონსტრუქციების ვერტიკალური გადახრები ან დამახასიათებელი ბზარები (იხ ფოტო 1) .

ცალკეული უმნიშვნელო ბზარები აღნიშნულ იქნა მხოლოდ I სართულის უკანა ფასადის კედლის წყობაში, რომელიც შესრულებულია მცირე ზომის ბეტონის ბლოკებით.

ამასთან ერთად წარმოდგენილი მასალებიდან ჩანს, რომ მიღებული საანგარიშო სქემა არ შეესაბამება პროექტს, რაც დაუშვებელია.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტილება ნორმების მოთხოვნებს არ აკმაყოფილებს (სნწ 3ნ 01.01-9 მუხლ. 9 პ.3, მუხლი 10, პ.8 და 11). ზოგ შემთხვევაში, კი პროექტში მიღებული კვანძური გადაწყვეტები არასრულყოფილად არის შესრულებული ადგილზე (იხ ფოტო 2 და 3) და თხოულობს ანგარიშით დასაბუთებას (სნწ 3ნ 01.01. მუხლი 10 პ.7ბ).

ამრიგად, ვიზუალური დათვალიერებით ქ. თბილისში, დიდუბის ქ. №23-ში მდებარე 14-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის ვარგისიანობა ექსპლუატაციისთვის არ იწვევს ეჭვს. თუმცა აშენებულ შენობასა და საანგარიშო

ობიექტს შორის არსებული გარკვეული შეუსაბამობები და პროექტის კონსტრუქციულ ნაწილში მიღებული ცალკეული ტექნიკური გადაწყვეტები არ გვაძლევს შესაძლებლობას ერთმნიშვნელოვნად დადებითად შევაფასოთ აღნიშნული შენობის ტექნიკური მდგომარეობა.

გაიკ აბრამიანი

გამოყენებული მასალები

შ.პ.ს."ალიზი"-ს მიერ დამუშავებული პროექტი-„ქ. თბილისში,დიდუბე-ჩურურეთის რაიონში დიდუბის ქუჩა№23-ში მრავალფუნქციური (სავაჭრო, საოფისე, საცხოვრებელი) შენობის კორექტირებული პროექტი"

გამოყენებული (ლიტერატურა, სტანდარტი, რეგლამენტი...)

სნწ პნ. 01.01-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" პნ. 01.01-09,

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3